

ენა და ენათმეცნიერება

**ველის კონცეპტის ადგილი და როლი როგორც არქიტექსტის
ტექსტობრივი სივრცის აგების კონცეპტუალური საფუძველი**

ეკატერინე ჯულაყიძე

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრობლემათა შერწყმამ განაპირობა ანთროპოცენტრიზმის როგორც მეტაპარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურის გათვალისწინება, და ასევე მისი უშუალოდ დაკავშირება ორ ისეთ პრობლემურ ცნებასთან, როგორებიცაა სტრუქტურისა და ენერჯის, ეს ორი აღნიშნული ცნება – როგორც სტრუქტურის, ისე ენერჯის ცნებები პირდაპირ კავშირშია არქიტექსტის პრობლემასთან. ვიცით, რომ მნიშვნელოვანია როლი, რომელიც არქიტექსტის კონსტრუირებისას უნდა შეასრულოს ისეთმა ორმა კონცეპტმა, როგორიცაა ველისა და ვექტორულობის კონცეპტები (ლევინსონი). მაგრამ, მიმდინარე ეტაპზე სტატიის მიზანია წარმოვადგენოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ველის კონცეპტის როლი არქიტექსტის კონსტრუირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ველის პრინციპი, არქიტექსტი, ლექსიკური სემანტიკა, მეთოდოლოგიური პარადიგმა, მეთოდოლოგიური პრინციპი.

ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრობლემათა შერწყმამ განაპირობა ანთროპოცენტრიზმის როგორც მეტაპარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურის გათვალისწინება, და ასევე მისი უშუალოდ დაკავშირება ორ ისეთ პრობლემურ ცნებასთან, როგორებიცაა სტრუქტურისა და ენერჯის ცნებები. რა თქმა უნდა, ეს ორი აღნიშნული ცნება – როგორც სტრუქტურის, ისე ენერჯის ცნებები პირდაპირ კავშირშია არქიტექსტის პრობლემასთან. არქიტექსტი, მის მიერ წარმოშობილი ტექსტობრივი სივრცისაგან განსხვავებით, წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს და მოითხოვს მისი კონსტრუირებისათვის აუცილებელ პრინციპთა ნაბიჯ-ნაბიჯ დაკონკრეტებას. შესაბამისად, ჩნდება სამეზობლო არქიტექსტის ადეკვატური კონსტრუირების პრობლემა. ვიცით, რომ მნიშვნელოვანია როლი, რომელიც არქიტექსტის კონსტრუირებისას უნდა შეასრულოს ისეთმა ორმა კონცეპტმა, როგორიცაა **ველისა და ვექტორულობის კონცეპტები** (ლევინსონი 1997: 69).

მიმდინარე ეტაპზე ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვადგენოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ველის კონცეპტის როლი არქიტექსტის კონსტრუირების პროცესში. მაგრამ, სანამ უშუალოდ შევუდგებით ამ ამოცანის შესრულებას, აუცილებლად მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი ისეთი მეთოდოლოგიური კონცეპტი, როგორცაა **მეთოდოლოგიური პარადიგმა** და **მეთოდოლოგიური პრინციპი**: სადაც პარადიგმა მიანიშნებს იმაზე, როგორ აღიქვამს მოცემული მეცნიერული დასციპლინა კვლევის ობიექტს თავისი არსებობის მოცემულ ეტაპზე. მეთოდოლოგიური პრინციპი კი ზოგადად მიანიშნებს იმაზე, როგორ უნდა შევუთავსოთ ჩვენი კონკრეტული კვლევა მეცნიერებაში არსებულ პარადიგმულ სიტუაციას. ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპის როლში ჩვენ გამოვიყენეთ ანალოგიის პრინციპი, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, როგორ უნდა იქნეს რეალიზებული ერთი დისციპლინის ფარგლებში სხვა დისციპლინის რეალობაში უკვე გამოყენებულ პარადიგმათა აქტუალიზაცია იმ შემთხვევაში, თუ ამ დისციპლინებს აერთიანებს ტექსტობრიობა როგორც ერთიანი ონტოლოგიური რეალობა. რადგან კვლავ გვიხდება კვლევის განსხვავებულ სფეროთა კონცეპტუალური დაახლოება, დავუბრუნდებით ანალოგიის პრინციპს იმ მიზნით, რომ ადეკვატურად განვსაზღვროთ **ველისა და ვექტორულობის**, როგორც კვლევით პრინციპთა როლი სამეზობლო არქიტექსტის კონსტრუირებისას.

კვლევის წინა ეტაპებზე, როცა საუბარი გვქონდა სინერგიულობის პარადიგმაზე, აღნიშნული იქნა მისი (სინერგიულობის პარადიგმის) ნიშანი. თავისი გენეზისით სინერგიულობა როგორც კონცეპტი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას (თუმცა ისტორიულად იგი გამოიყენებოდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში), მაგრამ ამჟამად აქტუალური ხდება ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც, განსაკუთრებით კი ლიტერატურათმცოდნეობაში. სწორედ აქედან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ საჭირო და აუცილებელია მისი გამოყენება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში. საჭირო გახდა ამ მომენტის გახსენება მაშინ, როცა საქმე შეეხო **ველის ცნებისა** და **პრინციპის** გამოყენებას ჩვენს კვლევაში, ძირითადად კი არქიტექსტის კონსტრუირებისას, რადგან ფაქტობრივად იგივე ითქმის ველის ცნებაზეც. თავისი გენეზისით ეს უკანასკნელი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას, კერძოდ კი ფიზიკის დარგს. ამჟამად კი ფართოდ გამოიყენება ისეთ ჰუმანიტარულ დისციპლინებში, როგორცაა ლინგვისტიკა და ფსიქოლოგია. ასე რომ, ანალოგიის პრინციპის კვლავ გამოყენებით შეგვიძლია ისეთივე წარმატებით მივმართოთ ველის კონცეპტს, როგორც ეს უკვე მოხდა სინერგიულობის შემთხვევაში. მაგრამ მოგვიხდება ამ შთაბეჭდილების შემდეგნაირად კორექტირება:

ე. ჯულაყიძე

ველის კონცეპტი და პრინციპი უკვე გამოიყენება ლინგვისტიკაში, თუმცა ძირითადად ისეთ განსხვავებულ ლინგვისტურ სფეროში, როგორცაა **ლექსიკური სემანტიკა**. აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, თუ როგორ უნდა იქნეს ასახული ჩვენს მიერ კონსტრუირებულ არქიტექსტში, უფროსწორად კი მის სტრუქტურაში, ორივე ზემოთ ხსენებული პრინციპები – ველისა და ვექტორულობის – თანაც ისე, რომ ამ ორი პრინციპის რეალიზება ხდებოდეს არა მხოლოდ ერთდროულად, არამედ ურთიერთშეღწევის გზით. რა თქმა უნდა, მოგვიხდება არა მხოლოდ იმის განსაზღვრა, **როგორ** უნდა იქნეს ამ პრინციპთა ასახვა ჩვენს არქიტექსტში, არამედ იმის განსაზღვრაც, როგორ უნდა მოხდეს მათი **ურთიერთშეღწევა**.

ზუნებრივია დავიწყოთ იმით, რას უნდა ნიშნავდეს ველის პრინციპი (field principle) ჩვენი არქიტექსტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კი საჭირო იქნება ითქვას, რომ ველის პრინციპის გამოყენებისას ისე ვეყრდნობით ანალოგიის პრინციპს, როგორც ვიყენებდით სინერგიულობის კონცეპტს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: ველის პრინციპი „გადმოგვაქვს“ არა სხვა დისციპლინიდან, არამედ ჩვენივე დისციპლინის, ლინგვისტიკის სხვა სფეროდან, კერძოდ კი **ლექსიკური სემანტიკიდან**. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში არა მხოლოდ კვლავ ვიყენებთ ანალოგიის პრინციპს, არამედ ვამცირებთ კიდევაც დისტანციას კვლევის იმ სფეროსა, სადაც იგი უკვე გამოიყენება და იმ სფეროს შორის, რომლის ფარგლებშიც გვსურს მისი გამოყენება (რა გაგებით „მცირდება“ ეს დისტანცია? იმ გაგებით, რომ ლექსიკური სემანტიკა ისევე ეკუთვნის ლინგვისტიკას, როგორც ტექსტის ლინგვისტური თეორია). ნათქვამიდან გამომდინარე კი – და იმის გათვალისწინებითაც, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ველის პრინციპს ჩვენი არქიტექსტის კონსტრუირებისას – საჭიროა ჯერ გავიხსენოთ, როგორ გამოიყურება ლინგვისტურად გაგებული ველის პრინციპი ზოგადად, შემდეგი დავაკონკრეტოთ იგი ისე, როგორც ეს ხდება თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკურ კვლევაში. **ველი** როგორც ცნება ლინგვისტურ ენციკლოპედიაში განისაზღვრება შემდეგნაირად: ველი არის ისეთი ენობრივ (ძირითადად ლექსიკურ) ერთეულთა ერთობლიობა, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებთ მნიშვნელობათა ერთიანობა... და რომლებიც ასახავენ მინიშნებულ მოვლენათა კონცეპტუალურ, საგნობრივ და ფუქნციურ მსგავსებას (კუზნეცოვი 1990: 380). ცტირებულ სტატიაში ველის ეს განსაზღვრა კონკრეტდება შემდეგნაირად, რომ ხდება სემანტიკური ველისათვის ისეთი საერთო (ინტეგრალური) სემანტიკური ნიშნის პოსტულირება, რომელიც აერთიანებს ველში შემავალ ყველა ერთეულს. ეს ის სემანტიკური ნიშანია, რომელიც გამოიხატება განზოგადებული მნიშვნელობის მატარებელი ლექსებით (კუზნეცოვი 1990: 380). რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ველის ამგვარი განსაზღვრებიდან,

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს შემოვიტანოთ ველის პრინციპი ტექსტის ლინგვისტურ კვლევაში და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ იგი ისეთი საწყისი ტექსტობრივი მოდელის დასახასიათებლად, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ტექსტობრივ სივრცეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი ამ ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის გასაგებად. თუმცა, თუ გვსურს ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ბოლომდე და ადეკვატურად გამოვიყენოთ ველის კონცეპტი და პრინციპი, აუცილებელია ორი მომენტის გათვალისწინება: ა) უნდა დაკონკრეტდეს ველის როგორც ლექსიკურ-სემანტიკური კონცეპტის თანმხლები ის პრინციპები, რომელთა მეშვეობით ხსენებული ფენომენი კონკრეტულად არსებობს ენის სისტემაში; ბ) მეტი სიზუსტით განისაზღვროს ის ადგილი, რომელიც უნდა ეკავოს ენობრივ სივრცეში ჩვენთვის საინტერესო არქიტექსტს (თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარად გაგებული „ადგილი“ უნდა განისაზღვროს ნებისმიერ არქიტექსტთან მიმართებაში).

დავაკონკრეტოთ ჯერ ზემოთხსენებული პრინციპები და ამ მიზნით მივმართოთ ე. ჩიგოგიძის სადისერტაციო ნაშრომს „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“, სადაც თანამედროვე ლექსიკურ სემანტიკაზე დაყრდნობით დანახული და განსაზღვრულია ეს პრინციპები:

1. „მთლიანობის (ინტეგრალურობის) პრინციპი;
2. სისტემურობის პრინციპი;
3. ურთიერთგანსაზღვრის პრინციპი;
4. სისრულის პრინციპი;
5. ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი;
6. სიცარიელეთა არარსებობის პრინციპი “ (ჩიგოგიძე 2005:17).

დავუბრუნდებით ყოველივე ამ პრინციპს მაშინ, როცა შევეცდებით განვსაზღვროთ არქიტექსტის, როგორც კონსტრუქტის სტრუქტურა. როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით ენა წარმოადგენს დიქოტომიურად არსებულ ნიშნობრივ ფენომენს, აღნიშნული დიქოტომია კი გულისხმობს, ერთის მხრივ, ენას როგორც სისტემას და, მეორეს მხრივ კი, ენის როგორც სისტემის ისეთ აქტუალიზაციას, რომლის შედეგია დისკურსი და ამ დისკურსის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელსაც „ტექსტი“ ეწოდება. აქედან გამომდინარე ბუნებრივია დავსვათ კითხვა: თუ ცხადია, რომ ყოველი რეალური ტექსტი უნდა განეკუთვნებოდეს ასევე რეალურ დისკურსს, მაშინ დასადგენია, როგორ უნდა განისაზღვროს იმ ფენომენის ადგილი, რომელსაც ჩვენ „არქიტექსტს“ ვუწოდებთ? სხვანაირად რომ ვთქვათ,

ე. ჯულაყიძე

დიქტომიის პრინციპით ნაგულისხმებ ენის რომელ პოლუსს, ენას როგორც სისტემას, თუ ენას როგორც დისკურსს, უნდა მივაკუთვნოთ არქიტექსტი? ვფიქრობ, ამ კითხვაზე უკვე წინასწარ და ადეკვატური პასუხის გაცემას შევძლებთ, თუ ხაზგასმით ვისაუბრებთ არქიტექსტზე როგორც კონსტრუქტზე, ხოლო ამ კონსტრუქტის სტრუქტურის განსაზღვრას მივიჩნევთ ყოველი ტექსტობრივი სივრცის კვლევისათვის მნიშვნელოვან ამოცანად. იმისათვის რომ, ამა თუ იმ კონკრეტულ ტექსტს „მივუჩინოთ ადგილი“ კონკრეტულ ტექსტობრივ სივრცეში, აუცილებელია წინასწარ (ჰიპოთეტურად) მოვახდინოთ ამ და სხვა ბევრი ტექსტისთვის ფუნქციონალური არქიტექსტის როგორც კონსტრუქტის მოდელირება. შესაბამისად, მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ნებისმიერ რეალურ ტექსტს მივიჩნევთ ხსენებული კონსტრუქტის აქტუალიზირებულ ვარიანტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელად და აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოვახდინოთ არქიტექსტის კონცეპტთან დაკავშირებული შემდეგი თეზისის დეკლარირება: არქიტექსტის კონცეპტი და მოდელი წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც პირდაპირი გაგებით არ ეკუთვნის **არც სისტემას და არც დისკურსს**, ისევე წარმოადგენს ორი ენობრივი რეალობის დამაკავშირებელ აბსტრაქტულ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ხდება ენის როგორც სისტემის აქტუალიზაცია. დისკურსულ რეალობად კი იქცევა ამა თუ იმ ჟანრს დაქვემდებარებული რეალური ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ შევძელით, განგვესაზღვრა ველის, როგორც კონცეპტის ადგილი არქიტექსტის ენის დიქტომიურად სტრუქტურირებულ სივრცეში. მომდევნო კვლევაში კი გვექნება მსჯელობა, თუ როგორ უნდა იქნეს ველის თანმხლები ვექტორულობის პრინციპი განსაზღვრული და რეალიზებული არქიტექსტის სტრუქტურაში.

ლიტერატურა

ლებანიძე, გურამ. 2004. „კულტუროლოგიის საფუძვლები“, „ენა და კულტურა“. ენა და კულტურა, 2004: 57-62.

ლებანიძე, გურამ. 2006. სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“ ენა და კულტურა, 2006: 312-314.

Levinson, Stephen. 1983. „Pragmatics“, Cambridge University Press.

Кузнецов, Сергей. 1990. "Поле". Лингвистический энциклопедический словарь. "Советская энциклопедия". 1990: 380.

Language and Linguistics

The place and role of filed concept as a conceptual bases in the construction of architext textual sphere

Ekaterine Julakidze

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The merging of interdisciplinary and interparadigmatics results further consideration of the structural content analysis of anthropocentric metaparadigm. It is also closely connected with the problematic concepts like structure and energy. They both – the concept of structure and the concept of energy are related to the problem of architext. It is known that in the construction of architext the field and vector concepts have a major role (Levinson) but at the current stage we are to demonstrate the role of filed concepts in the architext construction process.

Keywords: field principle, architext, lexical semantics, methodological paradigm, methodological principle.

The merging of interdisciplinary and interparadigmatics conditions further consideration of the structural content analysis of anthropocentric metaparadigm. It is also closely connected with the problematic concepts like structure and energy. They both – the concept of structure and the concept of energy are related to the problem of architext. It is known that in the construction of architext field and vector concepts have a major role (Levinson 1997) but at the current stage we are to demonstrate the role of filed concepts in the architext construction process.

But before considering about the field concept role in the the construction of architext textual sphere we should differ from each other two significant methodological concepts like **methodological paradigm and methodological principle**: methodological paradigm defines the approach of the scientific discipline to the researched object at a given stage of its existence, as to the methodological principle, it generally hints how to combine the specific research to the paradigm situation existing in science. We have already used the principle of analogy as a main methodological principle in order to declare the possibility of merging different disciplines and using the similar ontological unity as a bases

ე. ჯულაყიძე

of merging of different approaches. So, in order to supply linguistics with the filed and vector concepts we base on the principle of analogy as a method of conceptual merging of different issues.

And, we've already had an experience of the usage of the principle of analogy: Synergetic as a linguistic concept appears in linguistics through the literary studies on the bases of the principle of analogy, the ground was the textuality as a similar ontological reality. We also should memorize that by its genesis Synergetism as a concept belongs to the natural sciences (although historically it has been used in Christian theology), but now it is relevant in humanitarian thinking and mainly in the field of literature. Due to this discussing its usage in the linguistic theory of the text becomes vital. The same bases we could acquire for the usage of the filed principle in the construction of architext textual sphere. Field by its genesis belongs to the neural sciences, mainly to physics but is widely used in such humanitarian disciplines as Linguistics and Psychology. Consequently, the principle of analogy could be bases of transformation of filed principle in the linguistics. But the exaction arises: The filed concept and principle have already been used in Linguistic Semantics-in quite different linguistic spere. So, we shorten the distance between the sphere it had covered and the sphere of its further usage (Lexical semantics belongs to linguistics as well as text belongs to the linguistic theory).

The definition of "Field" concept in the linguistic dictionary is the following: Field is the unity of language (mainly lexical) items related to each other by unity of meaning...and they reflect conceptual, nominative and functional similarities of the objects they name (Kuznecov 1990:380). This definition unites all the units included in the field. It is a semantic sign that manifests itself in the lexeme that carries the generalized meaning. If we are to identify the place and role of filed principle in the construction of architext on the bases of principle of analogy, we should take into consideration two significant issues: a) should be specified the principles accompanying the lexical-semantic concept of the filed, through which the abovementioned phenomena exists in the language system. b) more specifically should be defined the place of the architext in the language sphere (that kind of "place" understanding must be defined in relation to any architext). In order to identify the place of filed principle in the construction of architext, we should give the definition of the architext itself. The concept and model of architect is an intellectual construct that literally belongs neither to the system, nor to the discourse, it is an abstract formula connecting two linguistic realities by which language as a system is realized. As language is a dichotomous sigh phenomenon where one part applies the language as a system and on the other

hand the actualization of language as a system forms a discourse, and the “text” is the linguistic aspect of the discourse. The question is, to what pole of dichotomy we could refer the architext, to the language as a system or to the actualized language system-discourse? We should consider the architext as a construct, and the definition the structure of the construct must be important approach in the research of any kind of text sphere. In order to provide a place to a text in a particular textual sphere, we should model architext as a construct as a bases for all texts. Here the filed principle supports as to model a construct of architext that is suitable for all types of text. Therefore we could consider any real text as an actualized variety of the architext.

Based on this definition we can sum up that if we want to transfer filed principle in the linguistics and use it to characterize textual model, we should take into consideration two significant facts: a) there should be marked lexicosemantic concepts that provide the existence of this phenomena in the language system; b) the place of field principle should be strictly marked in the architext construction (this “place” should be determined towards any kind of architext).